


**მარიამ ტალახაძე:**  
**„ჩემი ოცნებაა, ოღონდ ისეთ ქვეყანაში ვიხსოვროთ, სადას არავინ მოგვკლავს“**  
 იხილეთ მე-2 გვ.



**საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლებსთვის ფულადი ჯილდოს გასაშენის წესი დამტკიცდა**  
 იხილეთ მე-4 გვ.



ქუთაისის მერია, მოქალაქეების მონაწილეობითი ბიუჯეტების განხორციელებას იწყებს. მონაწილეობითი ბიუჯეტების საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს საშუალებას აძლევს, წარმოადგინონ საკუთარი იდეები ქალაქის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით.

იდეები შესაძლოა ეხებოდეს შემდეგ სფეროებს: სოციალური, სპორტი, ახალგაზრდული საქმეები, შშმ პირების საჭიროებები, განათლება და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხები.

მონაწილეობით ბიუჯეტების სხვადასხვა ეტაპები აქვს

1. წინადადებების მიღება, რომელიც მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე გაგრძელდება.

2. მერის მრჩეველთა საბჭოს მიერ იდეების შესწავლა და შეფასება. უმეტეს შემთხვევაში მქონე იდეების საჯარო კენჭისყრა, რომელიც 9 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე მოხდება. 3. საპროექტო განაცხადის შეტანა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს საინიციატივო ჯგუფს ან იურიდიულ პირს.

# შენი იდეა შენი ქალაქისთვის!



## დიმიტრი გოშხათელიანი განათლების მინისტრს მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში არსებულ დანაშაულებრივ საკითხებზე რეაგირებას სთხოვს

ქუთაისელი მათემატიკის მასწავლებელი, განათლების აკადემიური დოქტორი, **დიმიტრი გოშხათელიანი** საქართველოს განათლების მინისტრს ღია წერილით მიმართავს და მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში არსებულ დანაშაულებრივ საკითხებზე რეაგირებას სთხოვს. გთავაზობთ ამ ღია წერილს სრულად.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბატონ მისიელ ბატიაშვილს**

**ბატონო მისიელ,**

ცნობილი ფაქტია, რომ დღეს ჩვენს სკოლებში მათემატიკური განათლების მიღება დიდ პრობლემას წარმოადგენს, უწინარესად, არასწორად შედგენილი სტანდარტის, პროგრამისა და განსაკუთრებით, სახელმძღვანელოების გამო. ისინი ელემენტარულ დონეზე ვერ პასუხობს სასკოლო განათლების მოთხოვნებს და უფრო მეტიც, ხელისშემშლელია მოსწავლის განვითარებისათვის. სამწუხაროდ, გრიფირების პროცესის შედეგად წლების მანძილზე არსებულ სახელმძღვანელოების სიყვემითაა გრიფირებული და სკოლებში კვლავსავალდებულო სასწავლო რესურსად იქცა. ბატონო მინისტრო, მაფიქრებს ინერტულობა და უმოქმედობა იმ ადამიანებისა (მეცნიერები, პედაგოგები, საზოგადო მოღვაწეები, მშობლები, მოსწავლეები...), რომლებიც სინამდვილეში ხმას უნდა იღებდნენ. ხანგრძლივი ფიჭვის შემდეგ გადავწყვიტე, ღია წერილით მოემართა თქვენთვის და მეჩვენებინა ჩემი, როგორც პროფესიონალის, ხედვა გამოსავლის პოვნის მიზნით (წარჩინებით მაქვს დამთავრებული ქუთაისის პე-



დიმიტრი გოშხათელიანი

დაგოიური ინსტიტუტი მათემატიკის მასწავლებლის სპეციალობით, ვარ განათლების აკადემიური დოქტორი, ოთხ ათეულზე მეტი დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი მათემატიკაში, დაწყებული პირველი კლასიდან).

მე თავად გახლდით ჩართული სახელმძღვანელოთა გრიფირების პროცესში, კერძოდ, ჩემი ავტორობით წარდგენილი მქონდა მე-7 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო და საკუთარ თავზე ვიწვინე არსებული სტანდარტის გადახედ-

ვის მცდელობისა და უკეთესი სახელმძღვანელოს შექმნის შედეგი. სახელმძღვანელოს ხომ ის უპირატესობა უნდა ჰქონდეს, რომ მისი გაგება საშუალო დონის მოსწავლემ, ძირითადად, დამოუკიდებელი სწავლით შეძლოს?! სამწუხაროდ, აწუქვე გრიფირებულმა სახელმძღვანელოებმა ეს ვერ აჩვენა. აქ ისმის მნიშვნელოვანი კითხვა: რამდენად სწორია, აღნიშნული სახელმძღვანელოები შევინარჩუნოთ კიდევ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში და დავაკომპლექსოთ მოსწავლეები? – ვფიქრობ, ეს არის დანაშაულზე თვალის



მისიელ ბატიაშვილი

დახუჭვა დამისი ხუთი-ექვსი წლით დაკანონება.

გრიფირების პროცესი აღმოჩნდა ყალბი და უფრო მეტიც, კრიმინალური სახის, რაც ჩანს მე-5-მე-6 კლასების სახელმძღვანელოებში მოცემული რამდენიმე საკითხის მაგალითზეც:

1. მე-6 კლასის ერთ-ერთ გრიფირებულ სახელმძღვანელოში შეტანილია პარალელოგრამის ფართობი, ტრაპეციის ფართობი, მრავალკუთხედის ფართობი, წრის ფართობი, პროცენტის პროცენტზე ამოცანები, ისეთი განტოლებები, რომელთა ამოხსნა მოითხოვს უარყოფითი რიცხვის ცნებას. ეს სა-

კითხვები არ არის გათვალისწინებული სტანდარტით და ცალკეა განსახილველი, საკითხავია, რამდენად გასაგები იქნება მე-5-მე-6 კლასელთათვის.

გავრძელება მე-3 გვერდზე

**PS news.ge**  
 ISSN 1987-7056  
  
 9 771987 705004

# მარია ტალახაძე: „ჩემი ოცნებაა, ოდესმე ისეთ ქვეყანაში ვიხსოვროთ, სადაც არავინ მოგვკლავს“

როგორც ცნობილია, არსებული რისკების მიუხედავად, საქართველოში პირველი ღირსების მარში გაიმართა. ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს თბილისის პრაიდის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებმა. ღირსების მარშის ჩატარებას ისინი ლგბტ მხარდამჭერ ჯგუფებთან, ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, ევროკავშირისა და მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქეებთან ერთად აანონსებდნენ და საჯარო მსვლელობაში მონაწილეობისკენ ყველა მხარდამჭერს მოუწოდებდნენ.

იმ უდიდესი რისკის გათვალისწინებით, რაც ამ მოვლენებს 2013 წლის 17 მაისის (ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე) აქციიდან დღემდე საერთო ფონად თან სდევს, აქციის დაანონსებამ საზოგადოების ვნებათაღელვა გამოიწვია და მალევე დაანონსდა კონტრ-აქციები, რომლის ორგანიზატორებიც საზოგადოებას ქუჩაში გამოსვლისკენ და ღირსების დაცვისკენ მოუწოდებდნენ, ხოლო ლგბტ ადამიანებს რელიგიური გრძობების შეურაცხყოფაში და ტრადიციების შელახვაში ღიად ადანაშაულებდნენ. მათი მხრიდან აშკარად გამოხატული სიძულვილის ენა და სიცოცხლის მოსპობის მუქარა ამჟერად რეაგირების მიღმა დატოვა ძალღვათა უწყებებმა.

ღირსების მარშის გამართვის გადაწყვეტილება თბილისის პრაიდის გუნდმა უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის პირობებში მიიღო. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათ წერ კიდევ 31 მაისს უთხრა, რომ ღირსების მარშის ჩატარება მათ მიერ დაგეგმილ ადგილებზე და ფორმატით, პროცესში ჩართული ადამიანების უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით, შეუძლებელი იქნებოდა.

ათასობით ადამიანი პატრულირების პირობებში, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ სხვადასხვა ბლაგვი საგნით და თოკებით, გამაგრებულნი იყვნენ თბილისის ქუჩებში და აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ მამათმავლობის პროპაგანდას და თუ საჭირო იქნებოდა, თავისი ძალებით აღკვეთავდნენ ნებისმიერი ადამიანის გადაადგილებას, აქციაში მონაწილეობას ან სხვა მათთვის საწინააღმდეგო აქტივობას.

ღირსების მარში მაინც შედგა, იმის მიუხედავად, რომ ლგბტ მარშის ორგანიზატორების მხრიდან ბოლო წუთამდე გასაიდუმლოებული იყო ლოკაცია და აქციის ფარგლებში დაგეგმილი სხვა აქტივობები.

ჩვენ ორივე მხარის წარმომადგენლებთან ვცადეთ სამომავლო გეგმების დაზუსტება და ინფორმაციისთვის ორგანიზაცია „ქართული ოჯახის და სიწმინდის“ დამფუძნებელს, გიორგი გეთიაშვილს დაუკავშირდით:

- ბატონო გიორგი, მოგესალმებით! როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს და თუ ფიქრობთ, რომ თქვენი და თქვენი თანამოაზრეების მხრიდან გაწე-

ულმა შრომამ შედეგი გამოიღო?

- პირველ რიგში, მოგესალმებით. ჩვენ არასდროს ჩავატარებინებთ პრაიდს, მაინც არ დავიღვებით არასოდეს, სანამ კაცები არიან საქართველოში, ჩვენ პრაიდს არ ჩავატარებინებთ და არ დავუშვებთ გარყვნილების პროპაგანდას!

რა თქმა უნდა, ვთვლი, რომ ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ეს არ ყოფილა მხოლოდ ჩვენი აზრება, ეს არის ქართული საზოგადოების მოთხოვნა, რომ ქუჩაში მსგავსი აქციები არ უნდა ტარდებოდეს!

- ფიქრობთ, რომ თქვენი მხრიდან ძალის გადამეტებას ადგილი არ ჰქონია?

- ჩვენი ქვეყნის ისტორია სისხლით არის დაწერილი და ასე იყო სულ, ჩვენი წინაპრები სიცოცხლეს წირავდნენ იმისთვის, რომ აქამდე მოვსულიყავით, ამიტომ არ ვფიქრობ, რომ ჩვენი მხრიდან ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი. ჩვენი გრძობები არ ილახება? ჩვენ არ ვიჩაგრებით? ოჯახი არის ქალის და კაცის ერთობა და არა - ამ გარყვნილების.

არავინ დაზოგავს თავს, რომ ეს უმსგავსობა აღკვეთოს, თუ საჭირო გახდა, ყველა დაანონსებული აქციის წინ გამოვალთ ქუჩაში და დავაპატიმრებთ ყველა ადამიანს, ვინც საზოგადოების ნების წინააღმდეგ წავა!

- სამომავლოდ თუ გაქვთ სამოქმედო გეგმები?

- დიახ, ჩვენ დავდივართ რეგიონებში და უკვე ასე ათასამდე ხემოწერა გვაქვს, ვითხოვთ გაუქმდეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ამოფარებული არიან ეს გარყვნილები და ამ კანონს იშველიებენ ყველა არგუმენტად!

ასევე ვითხოვთ, პარლამენტმა განიხილოს და მიიღოს "რელიგიური გრძობების შეურაცხველობის" კანონი. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება კანონით გახდეს დასჯადი ქართული საზოგადოების შეურაცხველობა!

\*\*\*

ჩვენ ასევე დაუკავშირდით ლგბტ თემის უფლებადამცველს და სხვადასხვა აქციების ორგანიზატორს, მარია ტალახაძეს, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს

- მოგესალმებით, მარია! როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს, თუ ფიქრობთ, რომ აქცია შედგა და ის მთავარი გზავნილები საზოგადოებაში მივიდა,



რაც ლგბტ-ადამიანებს სურდათ?

- მოგესალმებით, ვფიქრობ, რომ იმ უკიდურესად დაძაბული ფონის და სიცოცხლისთვის საშიში რისკების მიუხედავად, რასაც მუდმივად ვგრძობთ საზოგადოების

მხრიდან, აქცია შედგა და კიდევ ერთხელ შევძელით ხმა მიგვეწვინა იმ ადამიანებისთვის, ვისგანაც მორალური დახმარება და მხარდაჭერა გვჭირდება!

-იმ გადმოსახედიდან, როდესაც

საზოგადოების აგრესიის მსგავსი არაერთხელ ყოფილხართ, როგორ ფიქრობთ რამდენად გამართლებული და შედეგის მომტანი მსგავსი აქციების გამართვა და ხომ არ თვლით, რომ რისკი თქვენი სიცოცხლის მოსპობისა, მსგავსი აქციების დაანონსების შემდეგ უფრო იზრდება?

- მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მომიწია ქვეყნის დატოვება, უმძიმესი ფიზიკური და მორალური ტრავმებით, მაინც ვფიქრობ, რომ ამ ბრძოლას შედეგი ექნება!

რა თქმა უნდა, ყოველი მსგავსი აქციის დროს ჩვენ ჩვენს სიცოცხლეს ვდებთ სასწორზე და არ გვაქვს არანაირი გარანტია, რომ სიძულვილის ენით მოლაპარაკე ადამიანების მხრიდან ჩვენი სიცოცხლე დაცული იქნება. მითუმეტეს მაშინ, როცა სამართალ დამცავი ორგანოები არასდროს უზრუნველყოფენ ჩვენი უსაფრთხოების დაცვას, არც - ინდივიდუალურად და არც - ჯგუფური შეკრებების დროს!

ხშირად ვფიქრობ, მითუმეტეს ახლა, როდესაც თავის მორალური და ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლა აღარ მიწევს, რომელი უფრო დიდი ტკივილია, ის, რომ ფიზიკურად განადგურდეს საზოგადოება და მუდმივად სტრესში ცხოვრობოთ თუ ის, რომ ყოველდღიურად გრძობთ, რომ არასასურველი და მათთვის მიუღებელი ხართ.

ჩემთვის, ისევე, როგორც ქუჩაში ღირსების და ოჯახის დასაცავად გამოსული ადამიანებისთვის, უმთავრესი სწორედ ღირსება და ოჯახია, თუმცა მათთვის მაინც სიძულვილის ობიექტი ვარ.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

- როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქვეყნის დატოვება ჩემი ნების საწინააღმდეგოდ და არსებული რეალობის გამო მომიწია, ერთ-ერთი მორიგი ინციდენტის დროს, როდესაც მივიღე ურთულესი ტრავმები.

საქართველოში დატოვებულ შემთხვევებში, ჯგუფი, სადაც ვაერთიანებული ვიყავით სამასზე მეტი ადამიანი, იდენტური ისტორიებით და ცხოვრების წესით, ჩვენ ხშირად ვაწყობდით სხვადასხვა აქტივობას და მხოლოდ ერთმანეთთან ვგრძობდით, რომ ჩვენც "ვიღებთ, დედები, დები და ადამიანები ვიყავით.

მინდა, რომ ფინანსურად შევძლო მათი დახმარება და რეაბილიტაცია. თითოეული მათგანის სიცოცხლე და მომავალი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ჩემი ოცნებაა, ოდესმე ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც არავინ მოგვკლავს.

- წარმატებებს გისურვებთ!

- დიდი მადლობა თქვენ, რომ მუდმივად ინარჩუნებთ ობიექტურობას და გვაძლევთ საშუალებას, ადამიანების ჩვენი სათქმელი მივწვდინოთ!

ნინო ბიორბაძე



# დიმიტრი გოხთელიანი განათლების მინისტრს მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში არსებულ დანაშაულებრივ საკითხებზე რეაგირებას სთხოვს

პირველი გვერდიდან

2. აღარ გავაგრძელებ აღნიშნული კლასების სახელმძღვანელოების მიმოხილვას, რადგან არაერთი საკითხია აქ მეთოდურად აბდაუბდად ვადმოცემული (მეთოდურ სისტემაში არსებული ავტორები ერთმანეთს ჯაბნიან). მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიყვან მე-6 კლასის ერთ-ერთი გრიფინიტირებული სახელმძღვანელოდან: „**m რიცხვი იმ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყოფა უნაშთოდ n რიცხვზე, თუ m რიცხვის მარტივ მამრავლებად დაშლის ყველა თანამამრავლი მონაწილეობს.**“ ნულია შანსი, რომ ეს რომელიმე მე-6 კლასელმა გაიგოს.

აქვე აღვნიშნავ, რომ მე-5 კლასის ბუნების წიგნში შეტანილი არის სიმკვრივე. დამერწმუნეთ, ეს საკითხი არის ურთულესი და აბსოლუტურად გაუგებარია მე-5 კლასელისათვის, რადგან მან არ იცის, რა არის შეფარდება, სიმკვრივე კი სხვადასხვაგვარად სიდიდეთა შეფარდებაა. შესაბამისად, ამ საკითხის შეტანა მე-5 კლასის სახელმძღვანელოში დანაშაულია.


მე-5-მე-6 კლასების სახელმძღვანელომ მოსწავლე უნდა მიაჩვიოს წიგნთან დამოუკიდებლად მუშაობას და ეს შესაძლებელია, თუ მასში საკითხები სრულად იქნება ახსნილი და გადმოცემული და არა მოკლედ, თეზისების სახით (არადა, არსებულ სახელმძღვანელოებში არაერთი საკითხია ამგვარად წარმოდგენილი). ეს სპეციალისტებთან ცალკე სასაუბრო თემაა.

რაც შეეხება მე-7 კლასის სახელმძღვანელოს მათემატიკაში, პირდაპირ შემოქმედია ვთქვა, რომ ფაქტობრივად გრიფირება არ ჩატარებულა. მაშ, როგორ გავიგოთ, რომ უვარგისი წიგნებს კვლავ მისცეს გრიფი? თუ რატომ არის უვარგისი, ამის დასტურად რამდენიმე მაგალითს მოვიყვან (თუმცა ასეთი მაგალითები მრავალადაა) ერთ-ერთი გრიფინიტირებული მე-7 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოდან:

1. ერთ-ერთ პარაგრაფში, ერთ გვერდზე, მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა - ერთწევრი, მრავალწევრი, მოქმედებები ერთწევრსა და მრავალწევრზე. ამასთან, ამ საკითხების შესწავლაზე გამოყოფილია სულ რაღაც 4 საათი. ნებისმიერი პროფესიონალი დამეთანხმება, რომ ეს არის აბსურდი. არსებულ ძველ და ახალ უცხოურ სახელმძღვანელოებში ამ საკითხების შესწავლისთვის გამოყოფილია მინიმუმ 20 საათი და მას დათმობილი აქვს 10-15 პარაგრაფი;

2. ერთ-ერთ პარაგრაფში, ერთ გვერდზე, მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა მრავალწევრის მამრავლებად დაშლა. ამასთან, ამ საკითხის შესასწავლად გამოყოფილია სულ რაღაც 4 საათი. კომენტარს აღარ გავაკეთებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ორივე მაგალითით წარმოდგენილია ალგებრის საწყისი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური საკითხები და მათ შეგნებულ სწავლაზე არის დამოკიდებული ალგებრის დანარჩენი საკითხების შესწავლა;

3. ერთ პარაგრაფში, ერთ გვერდზე, ყოველგვარი დამტკიცების გარეშე მოცემულია სამკუთხედების ტოლობის ნიშნები. მეთოდურად სუსტად და მოსწავლისათვის გაურკვეველად წერია საკითხი წრფეთა პარალელობაზე, არსებული ერთმანეთში თვისებები და ნიშნები, სხვათაშორის, ეს უკანასკნელი (ანუ წრფეთა პარალელურობის ნიშნები) არც არის



ნახსენები გამოკვეთილად, არადა, მათემატიკის სტანდარტი მოითხოვს. აქვე მივუთითებ მნიშვნელოვან მეთოდურ რეკომენდაციას: **სამკუთხედების ტოლობა არის გეომეტრიის ძირითადი აპარატი. უმრავლესი გეომეტრიული თეორემის დამტკიცება დაფუძნებულია შემდეგ სქემაზე: უნდა მოიძებნოს ტოლი სამკუთხედები ან უნდა დამტკიცდეს ამოცანის პირობით მიღებულ ნახაზზე ტოლი სამკუთხედების არსებობა. შემდეგ უნდა ვეძებოთ ის შედეგები, რაც სამკუთხედების ტოლობიდან გამომდინარეობს.**

**ცხადია, სამკუთხედების ტოლობა დაფუძნებულია კუთხეთა ტოლობაზე და გვერდების ტოლობაზე...**

მე-7 კლასის ერთ-ერთ გრიფინიტირებულ სახელმძღვანელოში საერთოდ არ არის შეტანილი ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პროპორცია, პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულებები, პროპორციის ნაწილებად დაყოფა და ა. შ. საინტერესოა ავტორის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, როცა მიუთითებს, რომ ეს საკითხები შეიტანა მე-6 კლასში. ამავე მე-7 კლასის წიგნში მშრალად არის მოცემული გეომეტრიის საკითხები და მწირედ - პრაქტიკული. არადა, გეომეტრიის საგნის სწავლება უფრო მეტად დატვირთულ თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაო რესურსის მოითხოვს.

როგორ გავიგოთ ყოველივე ზემოთ თქმული და არაერთი მეთოდური უცილობა აღნიშნულ სახელმძღვანელოებში? გამოდის, რომ სახელმძღვანელოს გრიფირების დროს მას ექსპერტები ან არ კითხულობენ, ან მათ არ იციან სტანდარტი, ან მიკერძობას აქვს ადგილი. სამივე შემთხვევაში კრიმინალთან გვაქვს საქმე და თუ ასე გავგრძელებ გრიფირების პროცესს, მე-8 კლასშიც ანალოგიურ სიტუაციას მივიღებთ. ფაქტობრივად, სახელმძღვანელოთა გრიფირების არსებული სახით განხორციელება დამლუბველი იქნება მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. ამიტომ საჭიროა

მეცნიერთა ჩართვა. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრება აქვს ჩემს მეცნიერ-კონსულტატს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ომარ ძაგნიძეს: „**ამ საქმეში საჭიროა ჩართულ იქნეს: თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თსუ ი. გუკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, სტუ ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი და საქართველოს განათლების აკადემია.**“

ბუნებრივია, ისმება კითხვა: რა აზრი აქვს გრიფირების ჩატარებას, ზედმეტი ხარჯის გაწევას და ჩემი თუ სხვა ავტორთა მონაწილეობას ამ გრიფირებაში? უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ყოველგვარი გრიფირების გარეშე ჩვენ უკეთეს სახელმძღვანელოს მივიღებთ ქიმიამიც, ფიზიკამიც და მათემატიკამიც, რადგან არაერთი პოტენციური ავტორი ჩაერთვება სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში. დღესდღეობით ისინი გრიფირების პროცესში არ ერთვებიან, რადგან იციან, რომ ის არის ყალბი.

საერთოდ, მიმაჩნია, რომ მე-4-მე-6 კლასების მათემატიკის სტანდარტი და პროგრამები გადახედვასა და დახვეწას მოითხოვს (გასარკვევია, რომელი საკითხი უნდა ჩაისვას და რომელი - ამოღებულ იქნეს. შესაბამისად, აუცილებელია შემუშავდეს სტანდარტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება არითმეტიკული მეთოდების დაბრუნება და მაქსიმალურად შეიზღუდება ალგებრის საკითხები). მე-7-მე-9 კლასების სტანდარტი კი ძირითადად მისაღებია, თუმცა აქაც არის გასარკვევი ზოგიერთი რამ. ეს საკითხები აშკარად სპეციალისტებთან სასაუბრო თემაა და, ბუნებრივია, მე მაქვს ჩემი შეხედულება.

ასევე გადასახედია მათემატიკის პროგრამა მე-10-მე-12 კლასებში, რომლის შესახებ საინტერესო ლექცია ჩავატარებ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე, რომელიც მოიცავდა როგორც პროგრამის, ასევე ამ კლასების სტრუქტურულ

ცვლილებებს, თუმცა მათ არ მოიტანეს ეს ინფორმაცია თქვენამდე. თუ ისურვებთ, შემოიღოთ მასალები მოგაწოდოთ. შევნიშნავ, რომ არ შეიძლება მათემატიკა ერთნაირი პროგრამით ისწავლებოდეს მე-10-მე-12 კლასებში ყველა მოსწავლისათვის. მოსწავლეთა მეტი ბუღინგი თუ შეიძლება არსებობდეს, როდესაც, მაგალითად, მე-11 კლასის მოსწავლე უნდა იყოს გაკვეთილზე და ისმინდეს მისთვის სრულად გაურკვეველ მათემატიკის თუ ფიზიკის საკითხებს! ამავე დროს, ხშირად მათემატიკისა და ფიზიკის პროგრამები შეუთავსებელია, კერძოდ, ფიზიკა იყენებს ისეთ საკითხს მათემატიკიდან, რომელიც მოცემულ მომენტში მოსწავლეს არ აქვს გავლილი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ფიზიკისა და მათემატიკის პროგრამების გადახედვის აუცილებლობას.

არსებულმა უვარგისმა სახელმძღვანელოებმა (დაწყებული პირველი კლასიდან) პრობლემა შეუქმნა მასწავლებლებსაც. დაწყებით კლასებში სწავლების პრობლემა უშუალოდ აისახა დავალებებში. აღნიშნულ პრობლემა წარმოიქმნა სწორედ სახელმძღვანელოში არარსებული მეთოდებისა და არასწორი სტრუქტურის შედეგად. არის შემთხვევები, როდესაც მე-2 თუ მე-3 კლასის მოსწავლეს დავალებად აქვს მიცემული 40-50 სავარჯიშო, განტოლების ამოხსნა და ა. შ., რისი შესრულებაც მოსწავლის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია.

საკუთრივ შემოქმედ მასწავლებლებს, რომელთა რიცხვი ძალიან მცირეა (მაქსიმუმ 1:), საერთოდ არ სჭირდება არც სახელმძღვანელო და არც მეთოდური ლიტერატურა, ხოლო შემსრულებელ მასწავლებლებს, ძლიერსა თუ საშუალოს, იმისათვის, რომ შეძლოს წარმატებული გაკვეთილის ჩატარება, სჭირდება კარგი სახელმძღვანელო კარგი მეთოდური ლიტერატურით. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ნორმალური გაკვეთილის ჩატარებას.

მე მზად ვარ დაუყოვნებლივ წარმოვადგინო ალტერნატიული სახელმძღვანელოები მე-5-მე-6-მე-7 კლასებში ფართო აუდიტორიის წინაშე განსახილველად (მეცნიერები, პედაგოგები) და ვიმსჯელოთ მათ აკადემიკოსებთან, ხოლო შემდეგ გავაგრძელო მუშაობა მომდევნო კლასებზე, ასევე ჩემი ინტელექტუალური რესურსი მოახხმარო და შევქმნა კვალიფიციური სპეციალისტებთან (და არა ავანტიურისტებთან) ერთად მე-10-მე-12 კლასების პროგრამის დიფერენციალური სწავლების კურსის პროგრამაც მათემატიკაში, რომლის ზოგადი მონახაზი წარვადგინე პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე.

ბატონო მიხეილ, თუ თქვენ გადადგამთ გაბედულ ნაბიჯს და ჩემს მე-7 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს მიანიჭებთ ამ ეტაპზე დამხმარე წიგნის სტატუსს, მით უფრო რომ ის მოწონებულია არაერთი მეცნიერისა და პედაგოგის მიერ, დარწმუნებით მის ვარგისიანობაში, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მათემატიკური ღონის მკვეთრად ამაღლებაში, ბევრად დიდ უპირატესობაში გრიფინიტირებულ სახელმძღვანელოებთან შედარებით. ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე აღვნიშნავ, რომ ჩემი სახელმძღვანელოების იმედი აქვს არაერთ პედაგოგს.

**ბატონო მიხეილ, მზად ვარ, სასურველ დროს ნებისმიერ სატელეფონო არხის პირდაპირ ეთერში თქვენთან და სხვა ავტორებთან ერთად განვიხილო მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებთან დაკავშირებული ეს საჭირობო საკითხები, რადგან მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და თუ ასე გაგრძელდა, კიდევ უფრო მძიმე სურათს მივიღებთ.**

პატივისცემით, განათლების აკადემიური დოქტორი დიმიტრი გოხთელიანი

2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები ახალი მოდელით ჩატარდება

განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, 2020 წელს აბიტურიენტები ერთიანი ეროვნულ გამოცდებს ახალი მოდელით ჩაატარებენ. ახალი მოდელი გულისხმობს ერთი მხრივ, გამოცდების რაოდენობის შემცირებას 4 სავალდებულო გამოცდიდან 3 გამოცდამდე, და მეორე მხრივ, აბიტურიენტების მზაობის უკეთ შეფასებას კონკრეტული პროგრამისათვის. საგნობრივ გამოცდაში შემოწმდება არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნა, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორებიც არის კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის ადეკვატურად დამუშავების, შეფასების, ლოგიკური და არგუმენტურებული მსჯელობის უნარი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი მოდელით, აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდას შემდეგ საგნებში ჩაატარებენ:

- 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოურ ენაში.

მესამე გამოცდა დამოკიდებული იქნება პროგრამებზე, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე - ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სოციალური ან საზოგადოებრივი მეცნიერების არჩევას, ისტორიას ან მათემატიკას ჩაატარებენ.

უმაღლესი სასწავლებლები სურვილის შემთხვევაში, მეოთხე გამოცდას შემდეგი საგნების ჩამონათვალად დააწესებენ: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება.

სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივის გათვალისწინებით ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო ოთხი გამოცდა იქნება:

- 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა; 3. ბიოლოგია;

4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს). მეოთხე საგნისათვის გამოყოფილი იქნება კოტირებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30-ისა.

2019 წლის ჩათვლით, შემოქმედებით საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდას და შემოქმედებით ტურს ატარებდნენ. 2020 წლიდან სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხვად შემოქმედებით ტურთან ერთად აბიტურიენტმა სავალდებულოა ჩაატაროს:


- 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა.

აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი აბიტურიენტების ჩარიცხვა ძველი ფორმატით გაგრძელდება.

სტუდენტებისთვის გრანტი სამი საგნის შედეგის მიხედვით გაიცემა. თუმცა, თუ უმაღლესმა სასწავლებელმა მეოთხე საგანი მოითხოვა, აბიტურიენტს დაფინანსების მოპოვების კიდევ ერთი შესაძლებლობა ექნება.

სექტემბრის შუა რიცხვებში აბიტურიენტებისათვის ცნობილი გახდება, თუ რომელი დამატებითი საგანი უნდა ჩაატარონ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად.

საქენიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს გახევის წესი დაგეგმილია



განათლების რეფორმის ფარგლებში საქენიო ასაკის მიღწეული მასწავლებლები, რომლებმაც ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე პროფესიიდან გასვლა გადაწყვიტეს, 2019 წელს სახელმწიფოსგან ერთჯერად ფულად ჯილდოს - ორი წლის ჯამურ ხელფასს მიიღებენ.

ამ ფორმით სახელმწიფო საქენიო ასაკის მიღწეული მასწავლებლებს, რომლებმაც შექმნეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისტორია და აღზარდეს არაერთი თაობა, მადლიერებას გამოხატავს მათი მრავალწლიანი ფასდაუდებელი პედაგოგიური საქმიანობის გამო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეფორმის შედეგად, ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრები შემოვიდნენ.

აღნიშნული რეფორმის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ საჯარო სკოლაში დასაქმებული საქენიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესი დაამტკიცა:

- ჯილდოს მიღების მოთხოვნით განაცხადის დაწერის უფლება აქვს საჯარო სკოლის იმ პრაქტიკოსი მასწავლებელს, რომელიც საქენიო ასაკის 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიაღწევს.
- პრაქტიკოსმა მასწავლებელმა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფულადი ჯილდოს მიღების თაობაზე განაცხადებით საჯარო სკოლის დირექტორს უნდა მიმართოს.
- იმ შემთხვევაში, თუკი პრაქტიკოსი მასწავლებელი ერთზე მეტ საჯარო სკოლაში ასწავლის, ფულადი ჯილდოს ალების მიზნით ვალდებულია შრომითი ურთიერთობა შეწყვიტოს ყველა საჯარო სკოლასთან. ამ შემთხვევაში ფულადი ჯილდო გამოითვლება თითოეულ საჯარო სკოლასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
- ფულადი ჯილდოს ოდენობა შეადგენს ბოლო 3 თვის განმავ-

ლობაში პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახდელის გარეშე) საშუალო არითმეტიკულის 24-ჯერ ნამრავლს.

- იმ მასწავლებელს, რომელსაც 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე შეჩერებული აქვს შრომითი ურთიერთობა, ფულადი ჯილდო მიეცემა ნაშუადღვი ბოლო 3 თვის განმავლობაში ყოველთვიური შრომის ანაზღაურების (საშემოსავლო გადასახდელის გარეშე) საშუალო არითმეტიკულის 24-ჯერ ნამრავლის ოდენობით.
- ფულადი ჯილდოს ოდენობა დაანგარიშდება პრაქტიკოსი მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოსა და მასზე გათვალისწინებული დანამატების მიხედვით.
- თუ საქენიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებელი ფულადი ჯილდოს მიღების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 წლის განმავლობაში კვლავ გადაწყვეტს საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებას, ვალდებულია დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნები) და დააბრუნოს ფულადი ჯილდო სრული ოდენობით.
- ხოლო თუ საქენიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებელი ფულადი ჯილდოს მიღების შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 წლის შემდეგ გადაწყვეტს საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებას, ასევე, ვალდებულია დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნები).
- ფულადი ჯილდოს გაცემა 2019 წლის განმავლობაში განხორციელდება.
- 2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საჯარო სკოლებიდან

შემოსული ინფორმაციის თანახმად, ჯილდოს მიღების სურვილი 1594 სკოლის 5600-ზე მეტმა მასწავლებელმა გამოხატა.

განათლების მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკოსმა მასწავლებელმა დაადასტუროს მინიმალური კომპეტენცია და აიმაღლოს სტატუსი. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ასევე განისაზღვრა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების განსაკუთრებული წესი:

- იმ პრაქტიკოს მასწავლებელს (გარდა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სექტორების პრაქტიკოსი მასწავლებლისა), რომელიც 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით ვერ მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს, საჯარო სკოლის დირექტორს დასაქმების შემთხვევაში გათვალისწინებული ვადიან შრომით ხელშეკრულებას, ხოლო აღნიშნულ პოზიციას გამოაცხადებს ვაკანტურად-ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის წესით დასაქმება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი მოთხოვნებს („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლით მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილი მოთხოვნები).
- ვაკანტურ პოზიციაზე შერჩეული პირის დანიშვნის შემდეგ პრაქტიკოს მასწავლებელს ვადიანი შრომითი ხელშეკრულება შეუწყდება.

<https://matsne.gov.ge/document/Vlew/29248?publclatlon=78> - ზოგადი განათლების კანონი

<https://matsne.gov.ge/ka/document/Vlew/2925627?publclatlon=0> - მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანება საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე.

საირმეში ტურიზმის სკოლა გაიხსნება

ტურიზმის სფეროს განვითარების მიზნით გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან და შვეიცარიულ მასპინძლობის სკოლა SHL-თან ერთად საირმეში ტურიზმის სკოლა გაიხსნება.

• სკოლა წელიწადში 200 ახალგაზრდას მოამზადებს ტურიზმის სფეროში, რომლებიც ავტომატურად დასაქმდებიან.

• განხორციელდება ლექტორების მომზადების პროგრამები საერთაშორისო პარტნიორების მიერ.

• იგეგმება საინვესტიციო ფორუმების ორგანიზება, როგორც საქართველოში ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

• აკადემია შეასრულებს რეგიონული პაბის როლს.

• შერჩეულ მიმართულებებში ცენტრი იქნება მსოფლიოში ერთადერთი, უპირობო ლიდერი.

2018 წლის ნოემბერში მდღრიდში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, ზურაბ პოლოლიკაშვილმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რაც საქართველოში უპრეცედენტო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებს. კერძოდ, პროგრამა გულისხმობს ტურიზმის მიმართულებით ისეთი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას, როგორებიცაა საერთაშორისო მასშტაბის საგანმანათლებლო და ტექნოლოგიური ფორუმების ჩატარება და ონლაინ აკადემიის პლატფორმის შექმნა. ასევე, სხვადასხვა პროექტებს როგორც საჯარო მოხელეებისთვის, ასევე კერძო სექტორის თანამშრომლებისთვის.

ბათუმში თაფლის ფესტივალი გაიმართა

ბულვარში გამართულ ღონისძიებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 40-ზე მეტმა მეფუტკრემ მიიღო მონაწილეობა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო, როგორც კლასიკურ საფუტკრეში, ისე ჯარას მეურნეობაში მიღებული თაფლი და ფუტკრის სხვა პროდუქტების ნაირსახეობა.

კომპანიებისა თუ საოჯახო მეურნეობების წარმომადგენლები სტუმრებს დეგუსტაციასა და სხვადასხვა ტიპის მასტერკლასებს სთავაზობდნენ.

ღონისძიება ასევე მოიცავდა გასართობ ღონისძიებებსა და საბავშვო შოუ-პროგრამებს.

